ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

№ 50033464

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს
მის: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119;

ასლი: შპს „ორბი ჯგუფი ბეტონი"-ს დირექტორს
ბატონ ამირან მეფარიშვილს
მის: ქ.ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №7ბ
ტელ: 422 27 30 33

ბატონო ჯაბა,

თქვენი 2024 წლის 24 მაისის (შემ. №80075719) №01-01-10/4211 და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს №08/295 წერილების პასუხად რომელიც ეხებოდა, ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. წონიარისის მიმდებარედ, მდ. აჭარისწყალის კალაპოტში (X-751707;Y-4614428 - X-751645;Y-4614279) სასარგებლო წიაღისეულის ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის ლიცენზიის გაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ სს "ენერგო–პრო ჯორჯია" არ არის წინააღმდეგი, წარმოდგენილი ტოპოგრაფიული რუკების (გეოსაინფორმაციო პაკეტი) შესაბამისად განხორციელდეს, სასარგებლო წიაღისეულის ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის საჭირო სამუშაოები.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორის მიმდებარედ განთავსებულია, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები და შესაბამისად, სამუშაოების დაწყებამდე სავალდებულოა, სამუშაოების შემსრულებელმა (ლიცენზიანტმა) დაიცვას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მოთხოვნები, რომლითაც დამტკიცებულია „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები". დადგენილების მიხედვით მაღალი ძაბვის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონას წარმოადგენს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 10 მეტრი მანძილით. ამავე ბრძანებულების მე-4 მუხლის თანახმად ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, ელექტრო გადამცემი ხაზის დამცავი ღონისძიებების გატარების ან მისი წინასწარი გადატანის გარეშე. ხოლო, ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით, ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის მიერ დადგენილი პირობის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ლიცენზიანტი ვალდებულია გაითვალისწინოს, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №340 დადგენილებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები, რომლის მიხედვითაც, ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას მე-80-ე და მე-83-ე მუხლებით განსაზღვრულია, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების პერსონალის ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სამუშაოზე დაშვების საერთო მოთხოვნები.

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი

david kharshiladze

Digitally signed by david kharshiladze
Date: 2024.05.29 15:15:38 +04'00'

შემს: შალვა ტაბატაძე / ტელ: 577 35 04 40;